



დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმა და შედეგების ინსტრუქცია

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება.
აკადემიის სკოლა	მიუთითეთ აკადემიის სკოლა, რომელშიც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების საფეხური	მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური (ბაკალავრიატი მაგისტრატურა)
სასწავლო კურსის/ მოდულის	მიუთითეთ სასწავლო კურსის/მოდულის სრული სახელწოდება და შეადარეთ სასწავლო გეგმაში მითითებულს.
სასწავლო კურსის/ მოდულის კოდი	<p>საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიზნით ენიჭება უნიკალური კოდი შემდეგი წესით:</p> <p>სასწავლო კურსის კოდი შედგება ასოითი და ციფრული ნაწილებისაგან;</p> <ul style="list-style-type: none"> • ასოითი ნაწილი გამოხატავს სასწავლო კურსის აბრევიატურას; • ციფრული ნაწილი გამოიხატება შემდეგნაირად: ძირითადი ნაწილის მარცხნიდან პირველი თანრიგი არის ბაკალავრიატი-1, ხოლო მაგისტრატურა-2; <p>ძირითადი ნაწილის მარცხნიდან მეორე თანრიგით აღინიშნება:</p> <ul style="list-style-type: none"> 0 - აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები. 1 - მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები. 2 - IT -ის სავალდებულო სასწავლო კურსები. 3 - სამხედრო კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები. <p>ძირითადი ნაწილის მარცხნიდან მესამე თანრიგით აღინიშნება:</p> <ul style="list-style-type: none"> 1- სავალდებულო 2 - არჩევითი

სასწავლო კურსის/ მოდულის სტატუსი	(აკადემიის საერთო სავალდებულო, სპეციალობის სავალდებულო, სპეციალობის არჩევითი, სამხედრო საქმის მოდული) შემოწმეთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასა და სილაბუსში მითითებული სტატუსის თანხვედრა		
სწავლების სემესტრი	მიუთითეთ სასწავლო სემესტრი; შემოწმეთ სილაბუსსა და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სემესტრის თანხვედრა; გაითვალისწინეთ, რომ ყველა სასწავლო კურსი ერთსემესტრიანია.		
სასწავლო კურსის/ მოდულის მოცულობა	? კრედიტი (? საათი)		
საკონტაქტო საათების რაოდენობა	? სთ. მათ შორის: ლექცია - ? სთ, სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობა - ? სთ, შუალედური გამოცდა - ? დასკვნითი გამოცდა - ? სთ. გაითვალისწინეთ, რომ საკონტაქტო საათები წარმოადგენს სილაბუსში მითითებული ლექციების, სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების, შუალედური და დასკვნით გამოცდისათვის გამოყოფილი საათებს.		
დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	? სთ. გაითვალისწინეთ, რომ დამოუკიდებელი მუშაობის საათები წარმოადგენს იუნკერის ინდივიდუალური მუშაობის საათებს.		
სასწავლო კურსის ფორმატი	კომპონენტი	ხანგრძლივობა	შენიშვნა
	ლექცია, სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობები	15 კვირა	• მიმდინარეობს სასწავლო გეგმა-კალენდარის მიხედვით
	შუალედური გამოცდა	1 კვირა	• ტარდება სასწავლო გეგმა-კალენდარის მიხედვით • შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა - გამოცდის ჩაჭარბის
	დასკვნითი გამოცდა	1 კვირა	• სემესტრის კვირა ? • ტარდება სასწავლო გეგმა-კალენდარის მიხედვით
	დამატებითი გამოცდა	”(FX) ვერ ჩააბარა” უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში	• სემესტრის ?? კვირა • დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სილაბუსის ავტორი	სახელი, გვარი აკადემიური თანამდებობა/კვალი ფიკაცია
საკონტაქტო ინფორმაცია	მობილური ტელეფონი, სახლის ტელეფონი, ელექტრონული მისამართი
კონსულტაცია	

სასწავლო კურსის/ მოდულის მიზანი	მოკლედ აღწერეთ სასწავლო კურსის ძირითადი მიზნები; მიზნებიდან მკაფიოდ უნდა ჩანდეს, თუ რა კონკრეტული შედეგების (კომპეტენციების) მიღწევაზეა მიმართული სასწავლო კურსი, მაგრამ აქ არ უნდა იყოს ჩამოთვლილი შედეგები (კომპეტენციები). მიზანი უნდა იყოს ადვილად გასაგები, ლაკონური და მიღწევადი. მიზნები უნდა იყოს სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების მეთოდოლოგიისა და სწავლის შედეგების შესაბამისი.
--	---

დაშვების წინაპირობები	<p>მიუთითეთ კონკრეტული სასწავლო კურს(ებ)ის ზუსტი დასახელება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად, სხვა დამატებითი პირობა ან „წინაპირობის გარეშე“. მიუთითეთ კონკრეტულად რომელი სასწავლო კურს(ებ)ი უნდა ჰქონდეს უკვე შესწავლილი წინა სემესტრებში იუნკერს სასწავლო კურსის ასათვისებლად: წინაპირობაში უნდა იყოს მითითებული არა ზოგადად თუ რა უნდა იცოდეს იუნკერმა, არამედ კონკრეტული სასწავლო კურსის ზუსტი დასახელება.</p> <p>წინაპირობის სახით მითითებული სასწავლო კურსი უნდა იყოს სავალდებულო და არა არჩევითი, რადგან, შესაძლოა, იუნკერმა არ აირჩიოს ეს არჩევითი სასწავლო კურსი და, შესაბამისად, ასეთი სასწავლო კურსი ვერ იქნება სხვა სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა.</p>
------------------------------	--

სწავლის შედეგები	<p>უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო განსაზღვრავს აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სწავლის შედეგებს-კომპეტენციებს. შესაძლებელია, სასწავლო კურსი იუნკერს უვითარებდეს ექვსი კომპეტენციიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას . გაითვალისწინეთ, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში შეიძლება ვერ იქნეს მიღწეული ყველა (ექვსი) კომპეტენცია, ამიტომ, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, მიუთითეთ მხოლოდ ის კონკრეტული კომპეტენციები, რომლებიც სასწავლო კურსის ფარგლებში უნვითარდება იუნკერს და აღწერეთ, თუ რას გულისხმობთ ამ კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p>შეამოწმეთ, რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ”სასწავლო კურსის მიზნები”, ”სასწავლო კურსის შინაარსი” და ”სწავლის შედეგ- ბი”. თუ, მაგალითად, თქვენ მიუთითებთ, რომ სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად მიღწეული იქნება კომუნიკაციის უნარი, მაშინ ამას უნდა ასახავდეს სასწავლო კურსის მიზნები და უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსის შინაარსი.</p>
ცოდნა და გაცნობიერება	

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
დასკვნის უნარი	
კომუნიკაციის უნარი	
სწავლის უნარი	
ღირებულებები	

კვირ ა	სთ	სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი	ლიტერატურ ა
1	მიუთითეთ თითოეული აქტივობისათვის კვირაში განსაზღვრული საათები. მაგ.: ლექცია - 2სთ, სამუშაო ჯგუფი - 2სთ	მიუთითეთ სალექციო თემის დასახელება და შესასწავლი საკითხები; მიუთითეთ მეცადინეობებზე განსახილველი საკითხები; მიუთითეთ მეცადინეობების ფორმატი და იუნკერის აქტივობის ფორმები - ანუ იუნკერის რა აქტიურობა იქნება შეფასებული, რაც უნდა შეესაბამებოდეს თქვენ მიერ მითითებულ შეფასების კომპონენტებს და კრიტერიუმებს.	თავების, გვერდების მითითებით. მაგ.: [1] - თავი, შესასწავლი თემის შესაბამისი გვერდები. გაივალისწინ
2			
3			
4			
5			
6			
7			
8		საველე გასვლა	
9			
10		შუალედური გამოცდა (I – VII კვირას შესწავლილი მასალის მიხედვით)	
11		სხვა საკითხებთან ერთად შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა	
12			
13			
14			
15			

16		
17		საველე გასვლა
18		
19		დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა
20		დამატებითი გამოცდა

სწავლება-სწავლის მეთოდები	საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმარტებული პირის მიერ იუნკერიისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);
----------------------------------	--

იუნკერის მიღწევების შეფასება სისტემა და მაჩვენებლები		
<p>იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა). დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა.</p> <p>შუალედურ, დასკვნით (დასკვნითი გამოცდის) შეფასებებში და შუალედურ გამოცდაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი- 30%. !!! მიაქციეთ ყურადღება. აქ გაკეთებულია ჩანაწერი აკადემიის აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით საბაკალავრო პროგრამებზე მიღებული ზოგადი რეგულაციის მიხედვით. უფლებამოსილი ხართ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაადგინოთ მოცემული წესისაგან განსხვავებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი. ამ შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია პროგრამის ხელმძღვანელთან.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებისჯამს.</p>		
შეფასების ფორმები და კომპონენტები	შუალედური შეფასება :	? ქულა
	აქტიურობა, სასწავლო პროცესში ჩართულობა - (დისკუსიაში მონაწილეობა, სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართულობა)	? ქულა
	ზეპირი გამოკითხვა	? ქულა
	წერიტი/ზეპირი დავალებები	? ქულა
	პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებები	? ქულა
	პრეზენტაციის მომზადება-წარდგენა (ფორმალური მხარე, შინაარსობრივი მხარე, პრეზენტაციის ტექნოლოგია ანუ კონტაქტი აუდიტორიასთან.	? ქულა
<i>(წარმოდგენილი შეფასების კომპონენტები მხოლოდ მაგალითისთვის არის მოცემული. შესაძლებელია</i>		

	შეფასების სხვა კომპონენტების მითითება)	
	შუალედური გამოცდა	? ქულა
	დასკვნითი გამოცდა	? ქულა
	ჯამი	100 ქულა
შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები	<i>გაითვალისწინეთ!!! ქვემოთ მოცემული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების ვარიანტი პირობითია და მიზანშეწონილია, ლექტორის შეხედულებისამებრ მასში ცვლილებების შეტანა</i>	
აქტიურობა, ჩართულობა	90-100% - მეცადინეობებზე სისტემატური აქტიურობის შედეგად გადმოსცემს მიღებულ ცოდნას, ჩართულია დისკუსიებში, შეუძლია აზრის ლოგიკურად გადმოცემა, ადეკვატური არგუმენტების მოყვანა, მოსაზრებების დასაბუთება, გამოირჩევა ინიციატივით.	
	70-80% - მეცადინეობებზე ხშირად აქტიურობს, შეუძლია მსჯელობა და მოსაზრებების არგუმენტირებულად ჩამოყალიბება; ჩართულია დისკუსიებში პერიოდულად.	
	50-60% - მეცადინეობებზე იშვიათად აქტიურობს. შეუძლია აზრის გადმოცემა, მაგრამ უჭირს მსჯელობა, არგუმენტების მოყვანა და მოსაზრების დასაბუთება.	
	40%-მდე - მეცადინეობაზე აქტიურობს მხოლოდ ლექტორის ზემოქმედების შემდეგ. უჭირს მსჯელობა, არგუმენტების მოყვანა და მოსაზრების დასაბუთება.	
	0% - არ იცის დისკუსიის თემასთან დაკავშირებული საკითხები; არ აქტიურობს და არ მონაწილეობს დისკუსიაში.	
	ზეპირი გამოკითხვა	ჩატარდება ? გამოკითხვა
	100%-მდე - მაღალ დონეზე ფლობს შესწავლილ საკითხებს, შეუძლია მასალის გადმოცემა ლოგიკურად და ამომწურავად პროფესიულ ენაზე, პასუხობს დასმულ დამატებით შეკითხვებს.	
	80%-მდე - იცის შესწავლილი საკითხები, შეუძლია შესწავლილი მასალის სწორად და დამოუკიდებლად გადმოცემა, მაგრამ პასუხები შეკვეცილია;	
	60%-მდე - ერკვევა შესწავლილი საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში; მაგრამ პასუხები შეკვეცილია და უჭირს მასალის დამოუკიდებლად გადმოცემა.	
	40%-მდე - საკითხების ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ უჭირს მასალის დამოუკიდებლად გადმოცემა და პასუხისას უშვებს არარსებითი ხასიათის უზუსტობებს.	
	20%-მდე - საკითხების ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ უჭირს მასალის დამოუკიდებლად გადმოცემა და პასუხისას უშვებს შეცდომებს და უზუსტობებს.	
	0% - შესწავლილი საკითხების ცოდნის დონე არადამაკმაყოფილებელია, რადგან პასუხისას უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს / არ იცის საპროგრამო მასალა.	
წერიტი/ზეპირი და პრაქტიკული ხასიათის დავალებები	შესასრულებელია ? დავალება	
	100%-მდე - დავალება სწორად არის შესრულებული. დავალების შესრულებისას გამოავლინა დამოუკიდებლად სამუშაოს შესრულების, მიღებული ცოდნის გამოყენების და მსჯელობის უნარი; დავალების შესრულებისას შეძლო დამოუკიდებლად ადეკვატური ინფორმაციის და	

	<p>მონაცემების გამოყენება.</p> <p>80%-მდე - დავალება შეასრულა, მაგრამ დასჭირდა დახმარება დავალების შესრულებისთვის სწორი გზის განსაზღვრაში. შეძლო დავალების ადეკვატური ინფორმაციის და მონაცემების გამოყენება.</p> <p>60%-მდე - დავალება შეასრულა, მაგრამ არსებობს არაარსებითი ხასიათის უზუსტობა, გამოყენებული ინფორმაცია არ არის ზუსტი,</p> <p>40%-მდე - დავალება ნაწილობრივადაა შესრულებილი, არსებობს არაერთი არაარსებითი ხასიათის უზუსტობა და ხარვეზი, სჭირდება მეტი მუშაობა.</p> <p>20%-მდე - დავალება ნაწილობრივადაა შესრულებილი, არსებობს არსებითი ხასიათის უზუსტობები და შეცდომები, რადგან მასალის ცოდნის დონე არ არის საკმარისი.</p> <p>0% - დავალება შესრულებული არ არის.</p>
<p>პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებები</p>	<p>შესასრულებელია ? დავალება</p> <p>100%-მდე - დავალება სწორად არის შესრულებული. დავალების შესრულებისას გამოავლინა დამოუკიდებლად სამუშაოს შესრულების, მიღებული ცოდნის გამოყენების და მსჯელობის უნარი; დავალების შესრულებისას შეძლო დამოუკიდებლად ადეკვატური ინფორმაციის და მონაცემების გამოყენება.</p> <p>80%-მდე - დავალება შეასრულა, მაგრამ დასჭირდა დახმარება დავალების შესრულებისთვის სწორი გზის განსაზღვრაში. შეძლო დავალების ადეკვატური ინფორმაციის და მონაცემების გამოყენება.</p> <p>60%-მდე - დავალება შეასრულა, მაგრამ არსებობს არაარსებითი ხასიათის უზუსტობა, გამოყენებული ინფორმაცია არ არის ზუსტი,</p> <p>40%-მდე - დავალება ნაწილობრივადაა შესრულებილი, არსებობს არაერთი არაარსებითი ხასიათის უზუსტობა და ხარვეზი, სჭირდება მეტი მუშაობა.</p> <p>20%-მდე - დავალება ნაწილობრივადაა შესრულებილი, არსებობს არსებითი ხასიათის უზუსტობები და შეცდომები, რადგან მასალის ცოდნის დონე არ არის საკმარისი.</p> <p>0% - დავალება შესრულებული არ არის.</p>
<p>პრეზენტაციის მომზადება-წარდგენა</p>	<p>90-100% - 1) ფორმალური მხარე - წარდგენილი საპრეზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე მოწონებას იმსახურებს, მასალები დამოუკიდებლად არის მომზადებული კომპიუტერული ტექნიკის და შესაბამისი პროგრამების გამოყენებით და ა.შ; 2) შინაარსობრივი მხარე - ნაშრომი სრულფასოვნად ასახავს დასახულ მიზნებსა და შედეგებს, ნაშრომის სტრუქტურა, განხილული საკითხები და ნაშრომის თემატიკა ურთიერთშესაბამისობაშია; ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია უახლესი ინფორმაცია, მონაცემები და ლიტერატურა; იუნკერმა გამოავლინა ინფორმაციის/მონაცემების მოძიების და კრიტიკული ანალიზის უნარი; შეძლო ნაშრომის დასკვნების ლოგიკურად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება; პრეზენტაციის ტექნოლოგია - იუნკერს შეუძლია ნაშრომის წარდგენა, კომპეტენციების წარმოჩენა და საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა, არგუმენტების მოყვანა და თავისი მოსაზრებების დაცვა .</p> <p>70-80% - 1) ფორმალური მხარე - წარდგენილი საპრეზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე სათანადო დონეზეა შესრულებული, მოხსენება დამოუკიდებლად არის მომზადებული კომპიუტერული ტექნიკის და შესაბამისი პროგრამების გამოყენებით და ა.შ; 2) შინაარსობრივი მხარე - ნაშრომი ასახავს დასახულ მიზნებსა და შედეგ-</p>

	<p>გებს, ნაშრომის სტრუქტურა, განხილული საკითხები და ნაშრომის თემატიკა ურთიერთშესაბამისობაშია, თუმცა სრულფასოვანი არ არის და განხილული საკითხები სრულად არ ასახავენ განსახილველ თემატიკას; ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია საკმარისი ინფორმაცია, მონაცემები და ლიტერატურა; 3) პრეზენტაციის ტექნოლოგია - იუნკერს შეუძლია ნაშრომის წარდგენა, კომპეტენციების წარმოჩენა და საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა, მაგრამ უჭირს არგუმენტების მოყვანა და თავისი მოსაზრებების დაცვა.</p> <p>50-60% - 1) ფორმალური მხარე - წარდგენილი საპრეზენტაციო მოხსენების გაფორმების ვიზუალური მხარე დამაკმაყოფილებელია, მასალების ძირითადი ნაწილი დამოუკიდებლად არის მომზადებული კომპიუტერული ტექნილის და შესაბამისი პროგრამების გამოყენებით და ა.შ.; 2) შინაარსობრივი მხარე - ნაშრომი სრულად არ ასახავს დასახულ მიზნებსა და შედეგებს, ნაშრომის სტრუქტურა, განხილული საკითხები და ნაშრომის თემატიკა დასახვეწია, განხილული საკითხები არ არ ქმნის სრულ წარმოდგენას საპრეზენტაციო მოხსენების თემაზე; ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია მწირი ინფორმაცია, მონაცემები და ლიტერატურა; 3) პრეზენტაციის ტექნოლოგია - იუნკერს შეუძლია ნაშრომის წარდგენა, მაგრამ უჭირს კომპეტენციების წარმოჩენა და საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა, ვერ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებების და უჭირს დიაკუსიაში მონაწილეობა.</p> <p>40%-მდე - 1) ფორმალური მხარე - წარდგენილი საპრეზენტაციო მოხსენების გაფორმების ვიზუალური მხარე ძირითადად დამაკმაყოფილებელია; 2) შინაარსობრივი მხარე - ნაშრომში განხილული საკითხები ძირითადად შეესაბამება მოხსენების თემატიკას, მაგრამ არ იკვეთება ნაშრომის სტრუქტურის, განხილული საკითხების და ნაშრომის თემატიკის ლოგიკური კავშირი. განხილული საკითხები არ არ ქმნის სრულ წარმოდგენას საპრეზენტაციო მოხსენების თემაზე; ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია მწირი ინფორმაცია, მონაცემები და ლიტერატურა; 3) პრეზენტაციის ტექნოლოგია - იუნკერს უჭირს მოხსენების პრეზენტაცია, ვერ მონაწილეობს მოხსენებასთან დაკავშირებულ დისკუსიაში და პასუხობს მხოლოდ კონკრეტულად დასმულ შეკითხვებზე, არ შეუძლია არგუმენტირებული მოსაზრების ჩამოყალიბება, მსჯელობა და არგუმენტების მოყვანა.</p> <p>0% - საპრეზენტაციო მოხსენება მომზადებული არ არის ან: 1) ფორმალური მხარე - წარდგენილი საპრეზენტაციო მოხსენების გაფორმების ვიზუალური მხარე არადაამაკმაყოფილებელია; 2) შინაარსობრივი მხარე - ნაშრომში განხილული საკითხები არ შეესაბამება მოხსენების თემატიკას, 3) პრეზენტაციის ტექნოლოგია - იუნკერს არ შეუძლია მოხსენების პრეზენტაცია, ვერ მონაწილეობს დისკუსიაში.</p>
<p>შუალედური და დასკვნითი გამოცდები</p>	<p>შუალედური გამოცდა - ? წერილობითი საკითხი/დავალება (თითოეული ფასდება ? ქულით) და ? ტესტი (თითოეული ფასდება ? ქულით).</p> <p>დასკვნითი გამოცდა - ? წერილობითი საკითხი/დავალება (თითოეული ფასდება ? ქულით) და ? ტესტი (თითოეული ფასდება ? ქულით).</p>
<p>წერილობითი საკითხი/დავალება</p>	<p>100%-მდე - პასუხი სრულია/დავალება სწორადაა შესრულებული; საკითხები ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; აქვს ლოგიკურად მსჯელობის და შესწავლილი მასალის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი ტერმინოლოგია დაცულია. ფლობს პროგრამით</p>

	<p>გათვალისწინებულ მასალას.</p> <p>80%-მდე - პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; საკითხები ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; იუნკერი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.</p> <p>60%-მდე - პასუხი არასრულია; საკითხები დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; იუნკერი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.</p> <p>40%-მდე - პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხების შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; იუნკერს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.</p> <p>20%-მდე - ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p>0% - პასუხები საკითხების შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის მოცემული.</p>
ტესტი	<p>1 ქულა - პასუხი სწორია.</p> <p>0 ქულა - პასუხი არ არის სწორი ან საერთოდ არ არის.</p>
საბოლოო შეფასება	<p>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) მალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა ;</p> <p>(FX) ვერ ჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაზარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.</p>
	<p>შენიშვნა: გაითვალისწინეთ</p> <p>1) დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა, შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს; 2) დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p>

<p>ძირითადი ლიტერატურა</p>	<p>1. მიუთითეთ ის ძირითადი სახელმძღვანელო(ები) და სასწავლო მასალა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება;</p> <p>გაითვალისწინეთ, რომ მითითებული სავალდებულო ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს ბიბლიოთეკის ფონდში ნაბეჭდი ან/და ელექტრონული ფორმით;</p> <p>თუ სავალდებულო ლიტერატურა არ არის ბიბლიოთეკაში - შეატყობინეთ პროგრამის ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;</p> <p>სავალდებულო ლიტერატურის სახით უცხოენოვანი ლიტერატურის მითითებისას უნდა გაითვალისწინოთ, რომ შესაძლოა იუნკერმა არ იცოდეს ან არასათანადოდ იცოდეს ეს უცხოური ენა და მას ვერ დაავალდებულებთ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებას თუ პროგრამის სტრუქტურა ან სასწავლო კურსის წინაპირობა არ უზრუნველყოფს აღნიშნული უცხოური ენის ცოდნას;</p> <p>2.სავალდებულო ლიტერატურის სახით შეიძლება იყოს მითითებული სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის ლექციათა კურსის რიდერი, რომელიც, ასევე, უნდა იყოს ბიბლიოთეკაში.</p>
<p>დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<p>მიუთითეთ სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, სხვა სასწავლო მასალა ან/და ვებგვერდები (ინტერნეტრესურსები) იმის გათვალისწინებით, რომ დამხმარე ლიტერატურა და სასწავლო მასალა უნდა დაეხმაროს იუნკერს სასწავლო კურსის არა შესწავლაში, არამედ უკეთ გაგება-ათვისებაში, დავალებების შესრულებაში, მოხსენების ან/და პრეზენტაციის მომზადებაში.</p>